ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1132451

ნომერი: AR1198300

თარიღი : 18.02.2014

გაცემის თარიღი : 21.02.2014

გაცნობის თარიღი : 21.02.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მექანიზაცია , N 1 , თორნიკე ერისთავის ქუჩაზე შ.პ.ს. "ბერი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა მექანიზაცია , N 1 , მიმდებარედ , ნაკვეთი 02/038 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 18 თებერვალს #AR1198300 განცხადება, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.12.12.002.041 მიწის ნაკვეთზე კომერციული შენობა–ნაგებობის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:

იმისთვის, რომ სამსახურმა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი საკადასტრო გეგმაზე მონიშვნით და ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში, დანართში დატანილი საკადასტრო საზღვრიდან განაშენიანების 2 მეტრიანი რეგულირების ხაზის დაცვით, რომლის მიღმადაც უნდა განთავსდეს შენობა–ნაგებობა.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განცხადება შემოსულია 2014 წლის 18 თებერვალს. თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 12 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოსადგენად. სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტები განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ სადაც წარმოდგენილი იქნება მოთხოვნილი დოკუმენტები.

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტები ატვირთულ იქნეს განცხადების დამატებითი დოკუმენტების ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.